ირაკლი ჩხაიძე
Irakli Chkhaidze
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

ილია ჭავჭავაძე: ეროვნული ფიგურა წინააღმდეგობრივ საჯარო დისკურსებში
Ilia Chavchavadze: National Figure in the Controversial Public Discourses

საკვანძო სიტყვები: *იდენტობა, დისკურსი, ეროვნული ფიგურა*
Keywords: *Identity, Discourse, National figure*

ილია ჭავჭავაძე (1837-1907) ეროვნული ფიგურაა საქართველოს საზოგადოების თითქმის ყველა ნაწილისთვის. როგორც ფართო საზოგადოებრივ დონეზე, ასევე ინტელექტუალურ წრეებში, ბევრს საუბრობენ მის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე, თუმცა, ილია ჭავჭავაძის საყოველთაო აღიარება არ არის საზოგადოებრივი კონსენსუსის საფუძველი. ჯგუფებს, რომელთათვისაც ილია საკულტო მოღვაწეა, სრულიად განსხვავებული ხედვები აქვთ საქართველოს სახელმწიფოსთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა ერის მშენებლობის ფორმები, საზოგადოების განვითარების მოდელები და მიმართულებები, საგარეო-პოლიტიკური კურსი და სხვა. ილია ჭავჭავაძის ფიგურა ხშირად არის გამოყენებული ეროვნული იდენტობის განსხვავებული დისკურსების მხარ-დასაჭერად – ზოგისთვის ილია ტრადიციულ, კონსერვატულ ფასეულობებს გამოხატავს, ზოგისთვის საქართველოს ევროპული იდენტობის მთავარი სიმბოლოა, ზოგისთვის სეკულარული ქართველი ერის მშენებელი, ზოგისთვის კი მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ კანონიზებული წმინდა ილია მართალი.

მოხსენება მიზნად ისახავს ილია ჭავჭავაძის როგორც ეროვნული გმირის შესწავლას, რომელიც, ერთი მხრივ, საქართველოს გმირთა პანთეონის უპირობო ლიდერია საყოველთაოდ აღიარებული დადებითი იმიჯით, ხოლო, მეორე მხრივ, მისი სახელი ერთ-ერთი ყველაზე მანიპულირებადია საქართველოს ისტორიაში. ილია ჭავჭავაძის, როგორც გმირის „ფლობა“, მის იდეების გამგრძელებლად თავის წარმოჩენა, ილიას სახელით საუბარი განსაკუთრებით მიმზიდველია პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მოძრაობებისა და მათი ლიდერებისთვის. ერნესტო ლაკლაუს მიერ შემოთავაზებული ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ილია ჭავ-

ჭავაძის ფიგურა „ცარიელი აღმნიშვნელია“, რომელშიც ყველა მისთვის სასურველ შინაარსს დებს. საკვლევი პრობლემა აქტუალურია, რადგან ილია ჭავჭავაძის ფიგურის არაერთგვაროვანი აღქმა და კონფლიქტური დისკურსები მნიშვნელოვნად განაპირობებს წინააღმდეგობრივ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებს. მიუხედავად ილიასთან დაკავშირებით არსებული მასალების დიდი რაოდენობისა, ბევრი არ არის ნაშრომი, რომელშიც საკითხი მსგავსი პერსპექტივიდანაა შესწავლილი.

Almost all parts of Georgian society view Ilia Chavchavadze (1837-1907) as a national figure. There is a lot of discussion regarding his legacy in both intellectual and popular circles. The groups, for whom Ilia is a cult figure, have completely different views on such important issues for the state of Georgia like the forms of nation building, models and directions of community development, foreign policy and others. Chavchavadze's image is frequently used to support different discourses on national identity. For some, Ilia represents traditional, conservative values; for others, he is the primary representation of Georgia's European identity. There are also those, for whom he is the architect of the Georgian nation's secularism, and those, for whom he is Saint Ilia the Righteous, who has been canonized by the Orthodox Church.

The paper intends to examine Ilia Chavchavadze as a national hero, who is simultaneously the unquestionable leader of the pantheon of Georgian heroes with a widely accepted positive image and one of the most malleable names in Georgian history. Political or public movements, and the leaders of those movements, find "owning“ Ilia Chavchavadze as a hero, positioning themselves as those who champion his ideas, and speaking on behalf of Ilia to be particularly alluring. The figure of Ilia

Chavchavadze is an "empty signifier," to use Ernesto Laclau's term, into which everyone inserts his or her desired content. The research topic is relevant because different perspectives and conflicting discourses on Ilia Chavchavadze have a big impact on contradictory political and social processes. Despite the abundance of materials related to Ilia Chavchavadze already in existence, hardly any works can be found in which the issue is investigated from a similar perspective.